საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "17" 06 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 878/ბ

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 7 ივნისის N 3188,4386,942823 განცხადებით კომპანიის „რობერტ ბოშ გმბჰ"-ის (მის: აბტაილუნგ ზგვ, პოსტფახ 300220, D-70442, შტუტგარტი, გერმანია) წარმომადგენელმა ირაკლი გვილიამ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „BOSCH" (რეგ. N 3188) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „BOSCH" (რეგ. N 3188) საქართველოში რეგისტრირებულია 18.09.1996 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 18.09.2016 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-7, მე-9, მე-11 და მე-12 კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „BOSCH" (რეგ. N 3188) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 273, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 17.06.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი: **BOSCH**

რეგისტრაციის N: **3188**

მფლობელი: **რობერტ ბოშ გმბჰ**

მისამართი: **აბტაილუნგ ზგვ, პოსტფახ 300220, D-70442, შტუტგარტი, გერმანია**

კლას(ებ)ი:

7 - მანქანები და დაზგები, ძრავები (ხმელეთზე მიმოსვლის საშუალებებისათვის განკუთვნილის გარდა).

9 - ხელსაწყოები და ინსტრუმენტები, სამეცნიერო, საზღვაო, გეოდეზიური, ელექტრონული (რადიო ტელეგრაფისა და სატელეფონო კავშირისათვის განკუთვნილი ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების ჩათვლით); ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, ოპტიკური, ასაწონი, გამზომი, სიგნალიზაციის, მაკონტროლებელი ხელსაწყოები და ინსტრუმენტები.

11 - გამანათებელი, გამახურებელი, ორთქლწარმომქმნელი, სახარში, სამაცივრო, საშრობი, ვენტილაციის, წყლის გამანაწილებელი და სანიტარული დანადგარები.

12 - ხმელეთზე, წყალზე და ჰაერში გადაადგილების საშუალებები.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი: **BOSCH**

რეგისტრაციის N: 942823

მფლობელი: **Robert Bosch GmbH**

მისამართი: **Robert-Bosch-Platz 1, 70839 Schillerhöhe, Gerlingen, DE**

კლას(ებ)ი: **7 - Household and kitchen machines and apparatus, in particular electric kitchen machines and apparatus, including mincing machines, mixing and kneading machines, pressing machines, juice extractors, juice centrifuges, grinders, slicing machines, electric motor-driven tools, electric can openers, knife sharpeners as well as machines and devices for the preparation of beverages and/or food; electric waste disposal units including waste masticators and compressors; dishwashers; electric machines and appliances for treating laundry and clothing including washing machines, spin driers, laundry presses, ironing machines; electric cleaning apparatus for household use including window cleaning devices and shoe cleaning devices, vacuum cleaners, hoses, pipes, dustfilters and dustfilter bags, all for vacuum-cleaners.**

9 - Electric apparatus and instruments, namely electric irons, kitchen scales, personal scales; electric welding devices for wrapping; remote control devices, signalling devices, controlling (supervision) devices and monitoring devices for household and kitchen machines and equipment; recorded and not recorded machine readable data carriers such as magnetic data carriers for household appliances; electric apparatus for dispensing beverage or food, vending machines; data processing devices and data processing programmes for controlling and operating household appliances.

11 - Heating, steam producing and cooking devices, in particular ovens, cooking, baking, frying, grilling, toasting, thawing and food and plate warning apparatus, immersion heaters, cooking pots, electric, microwave appliances, electric tea and coffee making apparatus, cooling devices, in particular refrigerators, freezers, combination apparatus of cooling and freezing, deep freezing apparatus, ice-makers; ice-cream makers; driers, in particular laundry driers, tumble driers for laundry use; hand driers; hair driers; ventilation devices, in particular ventilators, grease filter devices and extractor devices including extractor hoods; air conditioning devices and devices to improve air quality, air humidifiers, water piping devices as well as sanitary equipment, in particular also fittings for steam, air and water piping equipment, warm water devices, storage water heaters and continuous flow water heaters; kitchen sinks; heat pumps.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი: BOSCH

რეგისტრაციის N: **4386**

მფლობელი: **რობერტ ბოშ გმბჰ**

მისამართი: **აბტაილუნგ ზგვ, პოსტფახ 300220, D-70442, შტუტგარტი, გერმანია**

კლას(ებ)ი: **4 - ტექნიკური თხევადი ზეთები, საპოხ-საცხები საშუალებები.**

7 - ელექტრომრავები, გამშვები ელექტრომრავები, (გარდა სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებისათვის), ელექტროგენერატორები, ელექტრო ანთების მოწყობილობები შიგაწვის ძრავებისათვის, გამაცხელებელი ელემენტები, ამნთები სანთლები და სანთლები წინასწარი გახურებისათვის, აალების გამშვები მოწყობილობები, რომლებიც ძირითადად შესდგება: საწვავის მიწოდების სისტემისა და ანთების წყაროსაგან, განთავსებული შიგაწვის ძრავების ჰაერის მიმწოდებელ მილსადენში, ანთების გამანაწილებლისაგან, ანთების კოჭასაგან,მაგნეტოსაგან, სანთლების საცმებისაგან; ინჟექტორული ტუმბოები, საწვავის მომწოდებელი ტუმბოები, რეგულატორები, ინჟექტორები და მათი საკავები; სარქველები მანქანებისათვის; ფილტრები ძრავებისათვის, კერძოდ საწვავისათვის; ჰიდრავლიკური ტუმბოები და ძრავები, ჰიდრავლიკური სარქველები, ჰიდრავლიკური დომკრატები, ჰიდრავლიკური აკუმულატორები და ფილტრები, საჭესამართები, ფსევდოგამათხევადებელი მოწყობილობები; პნევმატიკური დანადგარები, რომელიც ძირითადად შესდგებიან ჰაერის კომპრესორებისაგან, ჰაერის რეზერვუარებისა და სამუშაო ცილინდრებისაგან, მართვის სარქველებისაგან და სამუხრუჭე სარქველებისაგან; ტურბო კომპრესორები გამონაბოლქვი გაზებისათვის, ელექტრო-მაგნიტური გადამბმელები; გადასაზიდი და შესანახი მოწყობილობები, რომლებიც ძირითადად შესდგებიან დახრილი ტრანსპორტიორისაგან, ვიბროტრანსპორტიორისაგან, ცენტრიდანული ტრანსპორტიორებისაგან, ორლენტიანი კონვეირებისაგან,

საყირაოებისაგან, ჩამჩიანი ელევატორებისაგან და მბრუნავი სამონტაჟო მაგიდებისაგან; მანქანის ამწევი მოწყობილობები, კერძოდ ამწე პლატფორმები; ელექტრომანქანები და მოწყობილობები მშენებლობისათვის, პნევმატიკური დანადგარები და ხელსაწყოები; შედუღების აპარატები, მოწყობილობები ხიჭვის ელექტრქიმიური მოცილებისათვის, ცივი და ცხელი ტვიფრვისათვის, კონტურების დამუშავებისათვის, აგრეთვე ხიწვის თერმული მოცილებiსათვის; საოჯახო ელექტრომანქანები, დამხმარე მოწყობილობები ჭურჭლის სარეცხი მანქანები, თეთრეულის სარეცხი მანქანები, თეთრეულის გასაშრობი და საუთოებელი მანქანები; ლითონის გასარეცხი მანქანები, შესაფუთი მანქანები; მცირე ზომის საოჯახო ელექტროაპარატურა.

9 - მოწყობილობები ფიზიკური გამოკვლევებისათვის, ოპტიკური და ელექტროტექნიკური მოწყობილობები (რომლებიც განეკუთვნებიან მე-9 კლასს), გამოსახულების და ხმის ჩამწერი კინემატოგრაფიული აპარატურა, საპროექციო აპარატურა, დანადგარები გამოსახულების მრავალჯერადი ექსპონირებისათვის, რომლებიც ძირითადად შესდგებიან სექტორული დიაფრაგმებისაგან, გადახვევის სისტემისაგან, აპარატები ელვისებრი განათებით, გამოსახულებისა და ხმის მიმღები ჩამწერი და აღმწარმოებელი აპარატურა, კინესკოპები, კათოდური მილაკები ტელევიზიისათვის, ფოტოელექტრული უჯრედები, გახმოვანების ნათურები ხმის ოპტიკური ჩამწერი აპარატებისათვის, ანტენები, სიხშირის გარდაქმნელები, მაღალი სიხშირის აპარატები საკომუნიკაციო ტელეტექნიკისათვის, რადიოაპარატურა, პორტატული რადიომიმღებები, საავტომობილო ტელეფონები, მიკროფონები, ხმამაღლამოლაპარაკეები, კონტროლის, გსმოცდის, გაზომვის, მართვის და რეგულირების მექანიკური, ოპტიკური, ელექტრული და ელექტრონული აპარატები, კონდენსატორები, კოჭები, დაბრკოლების საწინააღმდეგო მოწყობილობები ბატარეები ბატარეების დასამუხტი მოწყობილობები, მართვის ელექტრონული ბლოკები, წრედის ამომრთველები დნობადი მცველებით, ელექტროწინაღობები, გამაძლიერებლები, ტრანსფორმატორები, გარდამქმნელები, ელექტროკაბელები, საკაბელო დოლები, კაბელების შემაერთებლები, ძაბვის რეგულატორები, რელეები, მაგნიტები, მოციმციმე განათების აპარატები, ელექტროასპირატორები; მტვერსასრუტები ხალიჩებისათვის, იატაკის საპრიალებლები, ელექტროუთოები, ელექტრო ბალიშები (გარდა სამედიცინო მიზნებისათვის); მცირე ზომის საოჯახო ელექტრო აპარატები, მანქანების გატაცების საწინააღმდეგო ხმოვანი საშუალებები.

11 - გამანათებელი, გამაცხელებელი, ასადუღებელი გასაციებელი, გასაშრობი და სავენტილაციო აპარატები და მოწყობილობები, წყლის საწმენდი მოწყობილობები; პროჟექტორები კინემატოგრაფიისათვის; მცირე ზომის საოჯახო ელექტროაპარატები; გაზის ელექტროსანთებლები; მილისებრი ნათურები და რკალნათურები საპროექციო სპარატურისათვის.

12 - საავტომობილო აღჭურვილობა, კერძოდ ელექტროძრავები სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებისათვის, მინის საწმენდები, საყვირები, ხმოვანი გამაფრთხილებლები, შემწოვი ტუმბოები, სტარტერები, სამუხრუჭო მოწყობილობა, სამუხრუჭო ცილინდრები და სამუხრუჭო სერვოცილინდრები, სამუხრუჭო ძალვის რეგულატორები, მუხრუჭების სარქველები და შემაერთებლები დრეკადი მილებისათვის; პარაზიტულ დენებზე მომუშავე მუხრუჭები; ქუროები და გადაბმის საშუალებები სახმელეთო ტრანსპორტისათვის, კარების ჩაკეტვის ბლოკირატორები.

17 - იზოლატორები, საიზოლაციო მასალები, მასალები, რომლებიც შემდგარია კაუჩუკისაგან, ან ბოჭკოვან მასალებთან მისი კომბინაციით.

21 - მცირე ზომის საოჯახო და სამზარეულო ჭურჭლეული. ყველა ჩამოთვლილი საქონლის ნაწილები.